პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 სექტემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 188 (10 107) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ყურადღება! სპორტსკოლების დებულებაში ცვლილებაა

### ნაბიჯი დეცენტრალიზაციისკენ

იმ მიზნით, რომ სპორტული სკოლების შრომით კოლექტივებს სპორტული რეზერვის მომზადებაში მიეცეთ მეტი თვითმოქმედების უფლება, სსრ კავშირის სპორტსახკომმა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების დებულებას მიანიჭა ტიპობრივი დებულების სტატუსი და ნება დართო სპორტსკოლების პედაგოგიურ საბჭოებს ადგილობრივი პირობებისა და სპორტის სახეობების სპეციფიკის გათვალისწინებით ინდივიდუალურად დაადგინონ სწავლების ხანგრძლივობა სპორტული მომზადების ყოველ ეტაპზე, განსაზღვრონ სასწავლო ჯგუფებისა და შევსების რაოდენობა, სასწავლო-სპორტული მუშაობის კვირეული რეჟიმი მომზადების პერიოდისა და ეტაპის გათვალისწინებით.

ამასთან სპორტული სკოლების მთელი საქმიანობა შეფასდება სსრ კავშირის ნაკრებისა და სათამაშო სახეობებში ოსტატთა გუნდებისთვის რეზერვის მომზადებისათვის გაწეული მუშაობის საბოლოო შედეგით. დაუშვებელია მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირება და სპორტული შედეგების ფორსირება.

●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●

სსრ კავშირის ჩემპიონატი ველოსპორტში

## სტელა პრიახინას ბრინჯაოს მედალი

ამ ბოლო დროს საქართველოს გზებზე ველოსიპედისტთა ბევრი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა. ერთ-ერთი მათგანი იყო საკავშირო ჩემპიონატი ქალთა შორის დაყოფილი სტარტით რბოლაში. ასპარეზობამ თავი მოუყარა ქვეყნის ყველა უძლიერეს ველოსიპედისტს, მსოფლიო ჩემპიონებსა და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორებს. ეს ინტერესი განპირობებული იყო იმით, რომ გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს იღებდნენ.

თბილისი-წყნეთის გზატკეცილი არცი ისე გრძელია, მაგრამ 15-მა კილომეტრმა, რომელიც უნდა გაევლოთ მოასპარეზეებს, მათ ბევრი სირთულე და სიურპრიზი შესთავაზა.

ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი ლვოველმა თამარა პოლიაკოვამ მოიპოვა (37.53,3). მისი წარმატება არ იყო მოულოდნელი, ვინაიდან პოლიაკოვა მსოფლიო ჩემპიონია გუნდურ რბოლაში და ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა.

ვერცხლის მედალსაც, ჩვენის აზრით, კანონიერი პატრონი გაუჩნდა. ეს გახლდათ ჩებოქსარელი ნადეჟდა პაშკოვა (38.23,0). ისიც მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონია გუნდურ რბოლაში.

მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს სტელა პრიახინას (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენი") ხვდა, რომელმაც ეს ურთულესი ტრასა 38.29,0-ში გაიარა. პრიახინას ბრინჯაოს მედალი სასიამოვნოა იმიტომ, რომ ქალთა შეჯიბრებებში ჩვენს ველოსიპედისტებს ასეთი მაღალი ადგილი არ დაუკავებიათ. იგი სასიამოვნოა კიდევ იმიტომ, რომ დაყოფილი სტარტით რბოლა ამ ნიჭიერი ველოსიპედისტის პროფილი არ გახლავთ. იგი გაცილებით უფრო ძლიერია გუნდურ რბოლაში.

ასეა თუ ისე, 95 მონაწილეს შორის ნაჩვენები მესამე შედეგი პრიახინას დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

ბადმინტონი

## ყველა მოწინააღმდეგეს სძლია

ორიახოვოში (ბულგარეთი) გამართულ ბადმინტონისტთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მეათე, საიუბილეო იყო, რუმინეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლებთან ერთად, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ომსკის ასკ და საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

ვაჟთა შორის ერთეულთა თანრიგში, სადაც 32 სპორტსმენი გამოდიოდა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა დავით კავილაძემ 5 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო. აღსანიშნავია, რომ დავითმა ყველა მოწინააღმდეგე მშრალი ანგარიშით დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდის წევრები გია ენუქიძე და გიორგი კუპრავა რვა საუკეთესოში მოხვდნენ.

გოგონებს შორის თბილისელი ინგა ბერიძე მხოლოდ ფინალში დამარცხდა ომსკელ ელენა გურიევასთან და მეორე ადგილი ხვდა. მესამე იყო თბილისელი ტატიანა ბობილევა, რომელმაც „რევანში" აიღო ომსკელ ოლღა ჩერნიშოვასთან — 2:0.

ვაჟთა წყვილთა თანრიგში III-IV ადგილებისთვის ბრძოლაში კავილაძე-ჩარბაძემ მოუგო კუპრავა-ენუქიძეს, ხოლო ომსკელებმა ნაზარენკო-ელიზაროვმა ფინალში დაამარცხა თანაქალაქელ სკისტენოვნოვიკოვის წყვილი.

გოგოებში III-IV ადგილები შესაბამისად დაიკავა ელისო მარგველაშვილ-ირინა ბუხაიძემ და ბერიძე-ბობილევამ. გამარჯვება კი წილად ხვდა კავალენკო-გურიევას (ომსკი) წყვილს.

შერეულთა თანრიგის ფინალში ნაზარენკო-გურიევამ მოუგო კავილაძე-ბერიძეს.

ჩვენი გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლევან ქურხაშვილმა.

ნოემბერში რესპუბლიკის ბადმინტონისტებს კვლავ მიიწვევენ ბულგარეთში — ამჯერად დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

ლევან ჯაბაძე.

## ცირა მერეკლიშვილი თანატოლთა შორისაც ჩემპიონი



რიგაში ჩატარებულ შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატში მოჭადრაკე ქალთა შორის ცირა მერეკლიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. ეს იყო ამას წინათ.

და აი, ახალი წარმატება.

11-დან 27 სექტემბრამდე ლენინგრადში გამართულ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატში (20 წლამდე ასაკის გოგონებისთვის) კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ცირა მერეკლიშვილმა, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, და ჩემპიონობა მოიპოვა. ჩვენმა მოჭადრაკემ 14-დან 11 ქულა მოაგროვა (8 გამარჯვება, 6 ყაიმი).

სსრ კავშირის ჩემპიონატივაჟთა შორის

## გადადებული პარტიები დახვავდა

ეს შეჯიბრება, როგორც იცით ოდესაში მიმდინარეობს და რიგით 56-ეა. მესამე ტურის შემდეგ მოჭადრაკეები მაგიდებს გადადებული პარტიების დასამთავრებლად მიუსხდნენ. გელფანდმა ჯერ მოუგო ასეევს, ხოლო შემდეგ კი თვით დამარცხდა სოკოლოვთან. გამარჯვებები მოიპოვეს ღვოირისმა სმირინთან და დოლმატოვმა — ბელიავსკისთან. ბალაშოვ-სმირინის პარტიაში ყაიმია ფიქსირებული.

ჩემპიონატის მეოთხე ტური დაემთხვა... ევროპის საფეხბურთო ტურნირების მატჩებს და არაა გასაკვირი, რომ შვიდი საათისათვის უკვე ოთხ პარტიაში — სოკოლოვი-ვაგანიანი, გელფანდი-ბელიავსკი, ბალაშოვი-ოლი, ეინგორნი-დრეევი — ყაიმები აღინიშნა. ლერნერმა მოუგო სმირინს, დვოირისმა დოლმატოვს, ხოლო ტუკმაკოვმა — გიორგაძეს.

ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულა ჰქონდა ვაგანიანს, 2.5 სოკოლოვს, ხოლო ტუკმაკოვსა და ბალაშოვს — 2-2 (თითო გადადებული).

მეხუთე ტურში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გია გიორგაძემ დოლმატოვთან შეხვედრაში და ახლა მას 1,5 ქულა აქვს (2 გადადებული).

ტურნირზე პარტიათა დიდი რაოდენობა დაუმთავრებელია და სწორედ ამის გამო შეჯიბრების პოტენციური ლიდერის პრეტენზიას ერთდროულად რამოდენიმე მონაწილე აცხადებს.

◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎◎

### შეიქმნა სპორტული ბრიჯის ფედერაცია

გუშინ თბილისში გაიმართა სპორტული ბრიჯის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი ა. სილაგაძე.

ახალშექმნილი ფედერაციის უახლოესი მიზანია გახდეს სპორტული ბრიჯის საერთაშორისო ასოციაციის წევრი და ამით ხელი შეუწყოს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის წინსვლას.

წყალბურთელთა საკავშირო პირველობა ● I ლიგა

## ესტაფეტა „უნივერსიტეტმა" მიიღო

დიახ, ესტაფეტა თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად მიიღო. საუბარია I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მონაწილე საქართველოს გუნდზე.

ეს გუნდი აქამდე გახლდათ თბილისის ასკ, რომელიც № 3 უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის ბაზაზე იყო დაკომპლექტებული. მან უფერულად ჩაატარა შეხვედრები და 8 ქულით ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდა. ეს იყო გაზაფხულამდე, მერე კი პირველობაზე, IV ტურამდე, ხანგრძლივი შესვენება დაიწყო. ამასობაში ასკ-ის გუნდი თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა და ახლა, ბუნებრივია, მისი სახელით იასპარეზებს. როცა დღის წესრიგში ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელზე ამ გუნდის გადაცემის საკითხი დადგა, თბილისის უნივერსიტეტი შემთხვევით არ აურჩევიათ — ასკ-ის წყალბურთელთა უმეტესობა სწორედ ამ სასწავლებლის სტუდენტი იყო.

ახლა თბილისის უნივერსიტეტის გუნდი დიდი პრობლემის წინაშეა. მან გადამწყვეტ, V ტურში, რომელიც დღეს ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში იწყება, ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უნდა იბრძოლოს.

როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, წყალბურთელთა წლევანდელი საკავშირო პირველობა, როგორც უმაღლესი, ისე I ლიგის გუნდებისთვის, სრულიად ახლებურად ტარდება.

დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით I ლიგაში პირველ ოთხეულში მოხვედრილი გუნდები უმაღლეს ლიგაში ბოლო ოთხ ადგილზე დამკვიდრებულ კოლექტივებს შეხვდებიან და ამის მერე გაირკვევა მათი ვინაობა, თუ გაისად ვინ რომელ ლიგაში იასპარეზებს. პირველ ლიგაში დღემდე V-VIII ადგილებზე მყოფი გუნდები კი ამავე ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. მათ შო-

იხ. მე-4 გვ.

„ლელოს" რეიდი

## მშობლიური სკოლის კედლებსაც მოფერება უნდა

### სპორტულ ბაზებზე — სანიტარული წესრიგი!

გეზი ამჯერად კახეთის რაიონებისკენ ავიღეთ. საგარეჯოში ცდილან და სპორტული ბაზები მოუწესრიგებიათ, ვერ ვიტყვით. მთავარი სპორტული ბაზაა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ჭიდაობის დარბაზი, რომელსაც თავის საკუთარ კედლებში სასტუმროც აქვს. ძნელია ილაპარაკო სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე, როცა სპორტული დარბაზის გასახდელებში, მის სანიტარულ კვანძებში წყალი, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დილით და საღამოს თუ მოდის, ისიც თითო საათით. მით უმეტეს, ვიმეორებთ, ამ შენობის ჭერქვეშ სასტუმროც მუშაობს. თუ იმასაც დავძენთ, რომ იქვე მდებარეობს რაიონის ცენტრალური სტადიონი და საქართველოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდები აქ მართავენ მატჩებს, ცხადი გახდება რამდენი უხერხულობა იქმნება. თამაშის შემდეგ, ცხადია, ფეხბურთელები, ვერც სტუმრები და ვერც მასპინძლები იმას ვერ დაელოდებიან, როდის გაუშვებენ წყალს გრაფიკით საშხაპეებში, ან გაუშვებენ კი?..

სტადიონის ტერიტორია ყველგან როდია გაწმენდილი და გასუფთავებული. გვითხრეს, საქვაბეს რემონტი უნდა ჩაუტარდეს და რასაც ხედავთ ეს სამშენებლო მასალებია და არა ნარჩენები (თუმცა ისინი, დროს, წვიმას და ქარს ნარჩენებისთვის დაუმსგავსებია, ქვიშაზე ბალახიც ამოსულა).

რაიონის განათლების განყოფილების საცურაო აუზი კოოპერატორებისთვის გადაუციათ, მაგრამ დღეს იგი მაინც არ არგია მოზარდებს, უმოქმედო ბაზაზე. ცხადია, არც სანიტარული წესრიგი იქნება დამაკმაყოფილებელი.

გურჯაანში ორი კვირის წინათაც ჩავედით. ახლა რა შედარებაა — ყველაფერი უკეთ გამოიყურება, ოღონდ ეგაა საცურაო კომპლექსის ღია „საჭყუმპალაო", არც წელს მუშაობდა, იგი სისტემატურად ივსება მტვერით და ხის ფოთლებით, საერთო შთაბეჭდილებას ამუქებს, ამიტომ დროულად უნდა გადაწყდეს მისი ბედი.

გურჯაანის რაიონში ახლა ბევრგან აწესრიგებენ სასკოლო ბაზებს, ემზადებიან ახალი სასწავლო წლისთვის.

ლაგოდეხის რაიონის სკოლებშიც გულმოდგინედ ემზადებიან ახალი სასწავლო წლისთვის. სოფელ ლელიანში საშუალო სკოლა დიდი ხანი არაა, რაც აიგო, მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენში იშვიათი შემთხვევაა, რომ ახალი ნაგებობა თუნდაც... ჯერ კიდევ გახსნამდე სარემონტო არ იყოს. ლელიანის სკოლასაც ეს ბედი ხვდა. რა უნდა იღონოს თავად სკოლამ, თუნდ განათლების განყოფილებამ?

...ლის ხელმძღვანელობამ არაერთი ცნობილი პიროვნება ახსენა, ვინც ადრე ამ სოფლის სკოლაში სწავლობდა. ვუსმენდით მასპინძლებს და იქვე გაჩნდა წინადადება — რატომ არ შეიძლება ყოფილმა მოსწავლეებმა, თუნდაც დღეს მათ შორის უკვე მშენებლებმა, შეფობის წესით ცოტა ხელი შეაშველონ სკოლას? ეს მარტო ლელიანზე არ ითქმის, ასეთი მოძრაობა ყველგან უნდა გაიშალოს. მშობლიური სკოლის კედლები, ხომ მშობლიური სახლივით მოსაფერებელი და მოსავლელია.



ასე გამოიყურება საგარეჯოში სტადიონის ერთი კუთხე.

სიახლეები კადრების მომზადებაში

# კურსები იძლევა სპეციალობას

**ჩვენი რესპუბლიკის პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია ჩინური ტანვარჯიშის უ-შუს შესახებ. ვის აქვს უფლება ჩამოაყალიბოს ჯგუფები და კვალიფიციურად გაუძღვეს მეცადინეობას? — გვწერენ „ლელოს" მკითხველები.**

**გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსების დირექტორი თ. ხანბლიძე:**

— **საქართველოს** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით 1989 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტთან გაიხსნა ფიზკულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ფასიანი კურსები. კურსები ტარდება წარმოებიდან მოუწყვეტლივ და კურსდამთავრებულს ეძლევა სპეციალური მოწმობა, რომელიც მას აძლევს უფლებას იმუშაოს ფასიან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, სამეურნეო ფიზკულტურულ გაერთიანებებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ სპორტულ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კოოპერატიულ და ინდივიდუალურ შრომითი მოღვაწეობის სფეროში და სხვ.

პირველ ნაკადში ჩვენ მოვამზადეთ „ატლეტიზმის", „საერთო ფიზიკური მომზადების" და რიტმული ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-სპეციალისტები. ჩინური ტანვარჯიშის უ-შუს ჯგუფი ჯერ არ გვყოლია. არა იმიტომ, რომ მსურველები არ იყვნენ — არ გვქონდა საკავშირო სპორტსახკომის მიერ დამტკიცებული სპეციალური სასწავლო პროგრამა.

ჩვენი მუშაობის მეორე ნაკადისათვის მივიღეთ საკავშირო სპორტსახკომის მიერ დამტკიცებული პროგრამა და თანხმობა. ამის შემდეგ გავხსენით უ-შუს ჯგუფი, რომელშიაც 32 კაცი გაერთიანდა.

● **ვინ ატარებდა უ-შუს ჯგუფთან მეცადინეობას და რა პროგრამით?**

— ფიზკულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების პროგრამა საშუალოდ 218 საათზეა გაანგარიშებული. აქედან 100 საათამდე ეთმობა სპეციალიზაციას. რაც შეეხება დანარჩენ 118 საათს, იგი ეხება ისეთ საკითხებს, რისი ცოდნაც აუცილებელია კვალიფიციური ინსტრუქტორისათვის (მედიკო-ბიოლოგიური, ორგანიზაციული, საერთო ფიზიკური მომზადების საშუალებები — ტანვარჯიში, სპორტთამაშები, ცურვა, მძლეოსნობა, ტურიზმი და სხვ.).

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის მოწვეული გვყავდა ინსტიტუტის და რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები.

უშუალოდ უ-შუს სპეციალიზაციაში მეცადინეობები ჩაატარა მოსკოვის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა, რომელსაც ეს საქმე საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანებით აქვს დავალებული.

● **რამ გამოიწვია მოსკოვიდან ამ დარგის სპეციალისტის მოწვევა? ჩვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული, რომ თბილისში გვყავს უკვე აღიარებული სპეციალისტები...**

— როგორც ირკვევა, ბევრ ქალაქში არიან „სპეციალისტები", რომლებმაც კუსტარულად გაიარეს უ-შუს სხვადასხვა სკოლა და მათი მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია. საკავშირო სპორტკომიტეტმა 1988 წლის 12 დეკემბერს გამოსცა ბრძანება, რომლითაც გაუქმებულია ყოველგვარი ცნობა და საბუთი, რომელიც ადრე უ-შუს საკავშირო ფედერაციის ბლანკზე დაიბეჭდა. ამავე ბრძანებით ძალაშია მხოლოდ ის ოფიციალური მოწმობა, რომელიც გაიცემა რესპუბლიკების, მოსკოვის და ლენინგრადის სპორტსახკომთან არსებული ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების მიერ.

მსმენელთა ცოდნის შემოწმება რესპუბლიკის სპორტსახკომის მიერ დამტკიცებული სპეციალური კომისიის მიერ ხდება. კომისიაში შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მხოლოდ დადებითი შეფასების შემდეგ მსმენელს ეძლევა ინსტრუქტორის მოწმობა.

● **თქვენი საუბრიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამჟამად თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში არსებული უ-შუს ჯგუფები არაოფიციალურია და მათ ხელმძღვანელებსაც თუკი მათ არ აქვთ სპორტსახკომის მიერ გაცემული ინსტრუქტორის მოწმობა, მეცადინეობის ჩატარება ეკრძალებათ...**

— ამის შესახებ მე ზემოთ მოგახსენეთ, ფასიანი ჯგუფების ჩამოყალიბებისა და მათთან მეცადინეობის ჩატარების უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალური პროგრამით გაიარეს ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები და მიიღეს ინსტრუქტორის მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცადინეობა, რომელსაც ატარებს მწვრთნელი, არაკანონიერია და, ბუნებრივია, ასეთი ჯგუფების მეცადინეობა უნდა შეწყდეს.

● **ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები მხოლოდ თბილისშია, თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც?**

— 1989 წელს ინსტრუქტორთა მომზადების ორი ნაკადი მხოლოდ თბილისში ჩატარდა. გამოვუშვით დაახლოებით 150 ინსტრუქტორი — საერთო ფიზიკური მომზადების, ათლეტიზმის, რიტმული ტანვარჯიშის, სპორტული მასაჟისა და უ-შუს სპეციალობით.

გადაწყვეტილია ასეთივე მოსამზადებელი ჯგუფები გავხსნათ რესპუბლიკის წამყვან ქალაქებში ფილიალების სახით. სახეობები და მეცადინეობის ვადები დამოკიდებულია მსურველთა კონტინგენტზე.

● **თქვენ ახსენეთ სპორტული მასაჟი. ვის აქვს უფლება ჩაირიცხოს ასეთ ჯგუფებში და რა პროგრამით ხდება მათი მომზადება?**

— სპორტული მასაჟის ინსტრუქტორები მზადდებიან ფიზკულტურული ანდა სამედიცინო განათლების მსმენელებისაგან (საკმარისია საშუალო სპეციალური განათლებაც).

პროგრამა დაახლოებით 150-160 საათს მოიცავს. გათვალისწინებულია მასაჟის, სხვადასხვა კვალიფიკაციის სპორტსმენების, წონასწორობის, აღდგენითი, ტრავმისა და სხვადასხვა დაავადებების დროს ჩატარებული მასაჟის შესწავლა. მათი ფორმები, მეთოდები, ტექნიკა, ჰიდროპროცედურები და მათი გამოყენება, თვითმასაჟი. მნიშვნელოვანი დრო დეთმობა წერტილოვან და უკონტაქტო მასაჟის ჩატარების წესების შესწავლას და სხვ.

● **დაბოლოს ალბათ განსაზღვრული გაქვთ მომდევნო ნაკადებზე მსმენელთა მიღებისა და მეცადინეობის ჩატარების თარიღები.**

— ივლის-აგვისტოში მეცადინეობა შეწყდა. იგი განახლდება სექტემბერში. პროფილი დამოკიდებულია მსურველთა კონტინგენტზე. ვფიქრობთ, სპორტულ მასაჟში, უ-შუსა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში მსურველი ბევრია და მოგვაკითხავენ. მინდა მკითხველს ვაუწყო ისიც, რომ უკვე არის სადირექტივო დადგენილება იმის შესახებ, რომ ყველა საბავშვო ბაღში დაუშვან ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორის საშტატო ერთეული. საჭიროა მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები, რაც ჩვენ დაგვევალა.

და კიდევ ერთი სიახლე: ვინაიდან ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობა — ქართული ჭიდაობა საერთაშორისო ასპარეზზე იკვლევს გზას, რესპუბლიკის სპორტსახკომის მითითებით ვხსნით ქართული ჭიდაობის მწვრთნელ-ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებს, სადაც ჩაირიცხებიან მსურველები, წარსულში და ამჟამად ქართული ჭიდაობის სპეციალისტები, რომლებთანაც მეცადინეობას ჩაატარებენ ჩვენი სახელოვანი მწვრთნელები.



# „მიონი" — ჯანმრთელობის ქალაქი

**ათთვიანი** შესვენების შემდეგ თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის" საცურაო აუზი კვლავ მზადაა სტუმრების მისაღებად. მისი იძულებითი მოცდენა გამოიწვია სარემონტო სამუშაოებმა, რომლებიც ამ ზაფხულს განხორციელდა. დღეს ეს დახურული სპორტული ნაგებობა ახლებურად გამოიყურება: შეიცვალა მისი გარეგნული იერსახეცა და სტატუსიც: აქ შეიქმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „მიონი".

აუზი პოპულარული იყო არა მარტო გაერთიანებაში, არამედ დიღმის მასივის მრავალ მცხოვრებს შორისაც, მაგრამ მისი მოვლა დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა და დროთა განმავლობაში იგი „დაბერდა", წამგებიანი გახდა.

კოოპერაციულ საფუძველზე გადასვლით აუზმა მეორე სიცოცხლე შეიძინა. მოკლე ხანში აქ განხორციელდა დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოები: მთლიანად განაახლეს გათბობისა და ფილტრაციის, განათებისა და წყალმომარაგების სისტემები...

ახლა 25-მეტრიანი აუზის გარდა მომსვლელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპეები, საუნა, სამედიცინო ცენტრი, სავარჯიშო დარბაზი, კაფე-ბარი. მსურველებს შეუძლიათ ითამაშონ მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი. აუზი ეპატიჟება ყველას — დიდსა თუ პატარას. მათ კონსულტაციებს გაუწევენ გამოცდილი ინსტრუქტორები, ექიმები.

„მიონის" ყველა მუშა-მოსამსახურეს უფასოდ ემსახურებიან.

ახლო მომავალში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი თავის კლიენტებს სხვა მომსახურებასაც შესთავაზებს — მთავრდება სპორტდარბაზის, ჩოგბურთის კორტების, ღია სათამაშო მოედნების მომზადება.

„მიონი" 1 ოქტომბრიდან ეპატიჟება ყველას, ვინც ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე.

**მ. ცხელიშვილი.**

• • •





**ჯანმრთელობის ქალაქის საცურაო აუზი; სავარჯიშო დარბაზი; გაცურვებს შორის შესვენების დროს.**

**მიხეილ კიკვაძის ფოტოები.**

მსოფლიო ჩემპიონატი კრივში

# დარჩა თორმეტი ფინალისტი

**როგორც** ცნობილია, დღეს და ხვალ მოსკოვში გაიმართება მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები.

30 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან: 48 კგ. რ. მარჩელო (კუბა) — ე. გრიფინი (აშშ), 54 კგ. ე. კარიონი (კუბა) — ს. ტოდოროვი (ბულგარეთი), 60 კგ. ხ. გონსალესი (კუბა) — ა. ციულოვი (გდრ), 67 კგ. ზ. მენერტი (გდრ) — ფ. ვასტანგი (რუმინეთი), 75 კგ. ა. კურნიავკა (სსრკ) — ა. ესპინოსა (კუბა), 91 კგ. ფ. სავონი (კუბა) — ე. სუდაკოვი (სსრკ).

1 ოქტომბერს ოქროს მედლებს გაითამაშებენ: 51 კგ. ი. არზაჩაკოვი (სსრკ) — პ. რეიესი (კუბა), 57 კგ. კ. კირკოროვი (ბულგარეთი) — ა. ხამატოვი (სსრკ), 63,5 კგ. ი. რუძინსკი (სსრკ) — ა. ოტო (გდრ), 71 კგ. ი. აკოფკოხიანი (სსრკ) — ტ. შმიტცი (გდრ), 91 კგ. ჰ. მასკე (გდრ) — პ. რომერო (კუბა), მძიმე. ა. მიროშნიჩენკო (სსრკ) — რ. ბალადო (კუბა).

# სიახლე ქალაქში

**ფოთი** დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქია, სადაც სხვა სახეობებთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდა სახანძრო-გამოყენებითი სპორტიც. რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ძირითადად ყოველთვის ფოთელი მეხანძრე სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული და მათ არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებში.

სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ფოთის სპორტულ ბაზებს შეემატა კიდევ ერთი თანამედროვე ტიპის ოთხფანჯრიანი სახანძრო კოშკი, რომელიც „ვოდნიკის" სტადიონზე აშენდა. ამიერიდან აქ ჩატარდება რესპუბლიკური შეჯიბრებები სახანძრო-გამოყენებით სპორტში, სადაც სპორტსმენი მეხანძრეები იასპარეზებენ საიერიშო და გასაშლელი კიბით კოშკის მეოთხე სართულზე ასვლაში, ასმეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, ესტაფეტაში.

სახანძრო სპორტული ბაზა ხელმისაწვდომი იქნება სპორტის ყველა მოყვარულთათვის, პირველ რიგში სკოლების ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებისათვის. ვინ იცის, კიდევ რამდენი სპორტსმენი გახდება ახალ ბაზაზე რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრების ჩემპიონი.

**ტრისტან მანია.**

„ლელოს" საკ. კორ.

ფოთი.

# ტილბურგის საერთაშორისო...

**სამი** ტური და დარჩა ტილბურგის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე. ალმავლობით თამაშობს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელმაც XI ტურში დაამარცხა შვეიცარიელი ვიქტორ კორჩნოი და ახლა მას 11-დან 9,5 ქულა აქვს. ამავე ტურში ყაიმით აღინიშნა ვასილი ივანჩუკისა და ნორვეგიელი სიმენ აგდესტეინის, აგრეთვე იოჰან პიკეტისა (ჰოლანდია) და დიულა საქსის (უნგრეთი) პარტიები.

11 ტურის შემდეგ ლიდერს კვალში მიჰყვებიან: კორჩნოი — 7 ქულა, საქსი — 5,5, ჰიარტარსონი, ლიუბოევიჩი — 4,5-4,5 (თითო გადადებული), ივანჩუკი, აგდესტეინი — 4,5-4,5 და პიკეტი — 3 ქულა.

## I ლიგა

**გაიმართა** პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი, XXVI ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთში „გურიამ" აბოვიანის „კოტაიკს" უმასპინძლა, მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს ეს პრინციპული მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

წარუმატებლად ითამაშეს ამ ტურში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა, გასვლითი მატჩი მათ სტავროპოლში დათმეს ადგილობრივ „დინამოსთან" 0:2. ჩვენი რესპუბლიკის მესამე გუნდი, ბათუმის „დინამო" ამ ტურში ისვენებდა. სხვა შეხვედრები: „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 0:0, „კაირატი" (ალმა-ათა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „გეოლოგი" (ტიუმენი) — ასკ (დონის როსტოვი) 4:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:3, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0, ცსკა — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 3:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „დაუგავა" (რიგა) 4:2, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 29 სექტემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 34 | 22 | 8 | 4 | 85-21 | 52 |
| „გურია" | 34 | 21 | 7 | 6 | 59-30 | 49 |
| „კაირატი" | 35 | 20 | 8 | 7 | 65-29 | 48 |
| „ფაკელი" | 34 | 16 | 9 | 9 | 39-27 | 41 |
| „დინ." სტ. | 34 | 15 | 11 | 8 | 43-33 | 41 |
| „ფახთაქ." | 35 | 15 | 10 | 10 | 50-28 | 40 |
| „ნეფთჩი" | 34 | 14 | 11 | 9 | 46-34 | 39 |
| „გეოლოგი" | 35 | 16 | 6 | 13 | 44-40 | 38 |
| „მეტალურ." | 34 | 15 | 7 | 12 | 46-34 | 37 |
| „ტავრია" | 34 | 14 | 9 | 11 | 54-44 | 37 |
| „ნისტრუ" | 35 | 16 | 3 | 16 | 38-52 | 35 |
| „კოტაიკი" | 34 | 11 | 12 | 11 | 36-31 | 34 |
| „ტორპ." | 33 | 14 | 4 | 15 | 50-55 | 32 |
| „როსტს." | 34 | 10 | 12 | 12 | 31-34 | 32 |
| „შინიკი" | 35 | 10 | 10 | 15 | 38-57 | 30 |
| „სპარტაკი" | 34 | 10 | 9 | 15 | 40-48 | 29 |
| „დინამო" ბ. | 34 | 9 | 10 | 15 | 31-50 | 28 |
| „ყუბანი" | 34 | 9 | 9 | 16 | 31-62 | 27 |
| „კუზბასი" | 34 | 8 | 10 | 16 | 22-38 | 26 |
| ასკ. რ. | 34 | 7 | 10 | 17 | 43-63 | 24 |
| „დაუგავა" | 35 | 6 | 6 | 23 | 24-63 | 18 |
| ასკ „კარპ." | 35 | 5 | 7 | 23 | 32-73 | 17 |

# თბილისელი გულშემატკივრები თამაშითაც გაიცნეს

**ქართველი** ფეხბურთის გულშემატკივრების „საფეხბურთო განათლება" საყოველთაოდაა ცნობილი. ასევე საყოველთაოდაა ცნობილი მათი სათამაშო კლასი, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ახლახანს ოდესაში გამართულ გულშემატკივართა პირველ საკავშირო ტურნირში. შეჯიბრებაში ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბებთან არსებული მინიფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ. გვესაუბრება თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ხუნდაძე.

— პირველ ყოვლისა მინდა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს მივულოცო პირველად გამართულ ტურნირზე ლაურეატის სახელის მოპოვება. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: მოსკოვის „სპარტაკი", „დინამო", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ტაშკენტის „ფახთაქორი", ოდესის „ჩერნომორეცი", „ბურევესტნიკი", ბელიაევკის „ნესტროვეცი", ოდესის სპორტული სკოლა-ინტერნატი, ბეზეინის (თურქმენეთის სსრ) პირველი და მეორე გუნდები და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან არსებული გულშემატკივართა კლუბის კოლექტივი. ასპარეზობაში სამი გუნდი: ბეზეინი-II, სპორტინტერნატი და ოდესის „ბურევესტნიკი" კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ.

ტურნირის ორგანიზატორი ოდესის „ჩერნომორეცის" საფეხბურთო კლუბი იყო. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო ასპარეზობა, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული.

ჩვენმა გუნდმა ქვეჯგუფში თანმიმდევრულად დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 3:0, ტაშკენტის „ფახთაქორი" 7:0, ოდესის „ბურევესტნიკი" — 5:0 და ბოლო შეხვედრაში ბეზეინ-II-თან დამარცხების მიუხედავად ქვეჯგუფში პირველი ადგილი და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ჩვენთან ერთად ფინალში გავიდა ოდესის „ბურევესტნიკი", ხოლო მეორე ქვეჯგუფიდან დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და მოსკოვის „სპარტაკი".

თამაშები ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. თბილისელებმა მაყურებელთა და სპეციალისტთა საერთო მოწონება და სიმპატიები დაიმსახურეს.

პირველობის დასკვნით ეტაპზე ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" იყო, თბილისელთა აშკარა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა. 11-მეტრიანი სერიები ჩვენმა გუნდმა უკეთ შეასრულა, გაიმარჯვა 4:3 და ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალში „სპარტაკისა" და „ბურევესტნიკის" შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით — 2:0 დასრულდა. ფინალურ შეხვედრაშიც 11-მეტრიანების გამოყენება გახდა საჭირო. აქ მასპინძლებმა — „ბურევესტნიკის" ფეხბურთელებმა იმარჯვეს — 3:2.

მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, „ბურევესტნიკი" კონკურსგარეშე მონაწილეობდა. სამახსოვრო თასი და საპატიო სიგელები თბილისელებს გადაეცათ. გამოითქვა სურვილები, რომ მსგავსი ტურნირები მომავალშიც ჩატარდეს. მოწვევა მივიღეთ მოსკოვიდან, დნეპროპეტროვსკიდან, აშხაბადიდან და ტაშკენტიდან. ჩვენც არ დავრჩებით ვალში, დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ძლიერი გუნდის ჩვენს დედაქალაქში მოპატიჟება, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს და დააახლოვებს სხვადასხვა ქალაქის გულშემატკივართა გუნდის წევრებს.

ახლა კი წარმოგიდგენთ გამარჯვებული გუნდის წევრებს, ესენი არიან: ირაკლი და ლევან ქავთარაძეები, მერაბ ყაველაშვილი, ალექსანდრე მინასაშვილი, გელა გელაშვილი, პალიკო კასრაძე, რეზო კახიანი, ალექსანდრე მენაბდე, გიორგი ბარამიძე.

საუბარი ჩაიწერა **ზაზა კახაძემ.**



***

**სურათზე: ფეხბურთის თბილისელ გულშემატკივართა გუნდი.**

## მიეძღვნა თამაზ სტეფანიას ხსოვნას

**გორის** რაიონის სოფელ მეჯვრისხევის საფეხბურთო სკოლის ინიციატივით (დირექტორი ზ. ეჯოშვილი), ჩატარდა თბილისის „დინამოსა" და გორის „დილას" ყოფილი მეკარის თამაზ სტეფანიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. გორის, გორის რაიონისა და კასპის საფეხბურთო სკოლების 1975-76 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

პირველი ადგილისათვის გამართულ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. გორისა და კასპის ნორჩი ფეხბურთელები. მინიმალური ანგარიშით — 1:0 გაიმარჯვეს გორელებმა და საპატიო პრიზს დაეუფლნენ. გამარჯვებული გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა რ. აბრამიშვილმა.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის.

# მინიფეხბურთი — მილიონთა სიხარული

**მინიფეხბურთი!** დღეს სად, რომელ ქვეყანაში არ გაიგონებთ ამ სიტყვას. რაც დრო გადის ფეხბურთის ეს ნაირსახეობა სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს და შეუნელებლად იზრდება მისი პოპულარობა მთელს მსოფლიოში. დასტური გნებავთ? მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი მინიფეხბურთში! რაც მთავარია, მინიფეხბურთი მილიონთა სიხარულია, იგი ყველა ასაკის მოყვარულისთვის, არის ხელმისაწვდომი და... „სპორტულ სიცოცხლეს" უხანგრძლივებს ყოფილ ფეხბურთელებს.

თბილისს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მინიფეხბურთის მსოფლიო ცენტრებს შორისაც გამოკვეთილი ადგილი უკავია. საბუთად გამოდგება თუნდაც ჩვენი გუნდების მონაწილეობა საკავშირო და საერთაშორისო მატჩებში.

და აი, თბილისში დაიწყო უკვე ტრადიციად ქცეული დედაქალაქის ჩემპიონატი უბნის გუნდებს შორის. წლევანდელ ასპარეზობაში საწყის ეტაპზე მონაწილეობას იღებს 24 გუნდი, რომლებიც 6 ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი. „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსში უკვე გაიმართა პირველი ორი ტურის შეხვედრები. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა „საბურთალო"-I-მა შეძლო სოლოლაკელთა დამარცხება 3:2. უკვე მოხდა პირველი სენსაციაც: თბილისის შარშანდელი ჩემპიონი, „ოქროსუბნის" ძლიერი გუნდი დამარცხდა „ვაზისუბანთან" — 1:0; საინტერესოდ წარიმართა „ჩუღურეთისა" და „მუხიანის" ფეხბურთელთა მატჩიც. ანგარიში ჩუღურეთელებმა გახსნეს, მაგრამ ორი წუთის განმავლობაში „მუხიანის" ფეხბურთელებმა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და დაწინაურდნენ. ჩუღურეთელები ვითარების ასეთმა უეცარმა ცვლილებამ არ დააბნია. ამ მატჩის გმირი იყო გ. გეგეშიძე, რომლის ბრწყინვალე თამაშმა მთელი გუნდი გამოაცოცხლა. მან სამი ლამაზი გოლი გაიტანა მუხიანელთა კარში, რითაც თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 4:2.

**გთავაზობთ I და II ტურის ტექნიკურ შედეგებს:**

I **ჯგუფი:** „ოქროსუბანი" — „ვაზისუბანი", 0:1; „გლდანი" — „ორთაჭალა" 4:0.

II **ჯგუფი.** „საბურთალო"-I — „სოლოლაკი" 3:2; „საბურთალო"-III — „დიმიტროვი" 3:1.

III **ჯგუფი.** „ვაჟა-ფშაველა" — „თემქა" 3:2; „ვერა" — „აეროპორტი" 5:3; „ვერა" — „თემქა" 4:1; „აეროპორტი" — „ვაჟა-ფშაველა" 1:5.

IV **ჯგუფი:** „მუხიანი" — „რუსთაველი" 2:0; „ისანი" — „ჩუღურეთი" 2:2; „ისანი" — „რუსთაველი" 2:1; „ჩუღურეთი" — „მუხიანი" 4:2.

V **ჯგუფი:** „დიღომი" — „ფონიჭალა" 6:5; „საბურთალო"-II — „აღმაშენებელი" 3:1.

VI **ჯგუფი:** „დიდუბე" — „ქუსტბა" 5:0; „ვაკე" — „სანზონა" 9:0;

მესამე ტურის მატჩები 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს გაიმართება.

**მიხეილ აგაიშვილი.**

## პაექრობენ მოგვარეები

** უჩვეულო** ასპარეზობა გაიმართა ვაკში — პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭოს სპორტული დარბაზის დირექციამ მოაწყო ტურნირი მინიფეხბურთში მოგვარეთა შორის. დებულების თანახმად, თითოეული გუნდის შემადგენლობა მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის, ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს შენგელიებმა, ცხადაშვილებმა, ბუბუტეიშვილებმა, ლორთქიფანიძეებმა, კორძაძეებმა...

ფინალში ერთმანეთს ძაგნიძეები და ლორთქიფანიძეები შეხვდნენ. გამარჯვება ლორთქიფანიძეებს ხვდათ წილად, მათვე გადაეცათ გარდამავალი თასი.

მომავალი წლის თებერვალში ვაკში მეორედ მოეწყობა მსგავსი ტურნირი მინიფეხბურთში მოგვარეთა შორის. ტურნირი ღია იქნება.

**„ლელოს" კორ.**

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**მხოლოდ სტატისტიკა**

**გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი შეხვედრების საპასუხო ტურის მატჩები. ჩვენი ქვეყნის ექვსივე გუნდმა გაინაღდა უფლება შემდგომ ეტაპზე გამოსვლისა.**

### ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

**მეთექვსმეტედფინალი**

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია) 1:0 (2:1)
„17 ნენტორი" (ალბანეთი) — „სლიმა" (მალტა) 5:0 (0:1)
„ფენერბაჰჩე" (თურქეთი) — „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) 1:2 (1:3)
„ფრამი" (ისლანდია) — „სტიაუა" (რუმინეთი) 0:1 (0:4)
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „დერი სიტი" (ირლანდია) 4:0 (2:1)
„სრედეცი" (ბულგარეთი) — „რუხი" (პოლონეთი) 5:1 (1:1)
„ვოივოდინა" (იუგოსლავია) — „ჰონვედი" (უნგრეთი) 2:1 (0:1)
„მეხელენი" (ბელგია) — „რუსენბორგი" (ნორვეგია) 5:0 (0:0)
„ლიუცერნი" (შვეიცარია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 0:2 (0:3)
„ბავარია" (გფრ) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) 0:0 (3:1)
„ომონია" (კვიპროსი) — „ტიროლი" (ავსტრია) 2:3 (0:6)
აეკ (საბერძნეთი) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ) 5:3 (0:1)
„ინტერი" (იტალია) — „მალმიო" (შვეცია) 1:1 (0:1)
ჰიკ (ფინეთი) — „მილანი" (იტალია) 0:1 (0:4)
„ბრონდბიუ" (დანია) — „მარსელი" (საფრანგეთი) 1:1 (0:3)
„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „სპორა" (ლუქსემბურგი) 6:0 (3:0)
„სუონსი" (უელსი) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) 3:3 (2:3)
„ლეგია" (პოლონეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 0:1 (1:1)

### თასების მფლობელთა თასი

**მეთექვსმეტედფინალი**

„კორკ სიტი" (ირლანდია) — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:1 (0:5)
„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) 4:0 (0:3)
„სელტიკი" (შოტლანდია) — „პარტიზანი" (იუგოსლავია) 5:4 (1:2)
„დიურგარდენი" (შვეცია) — „უნიონი" (ლუქსემბურგი) 5:0 (0:0)
„ჰაკა" (ფინეთი) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 1:1 (1:5)
„ჰამრუნ სპარტანსი" (მალტა) — „ვალიადოლიდი" (ესპანეთი) 0:1 (0:5)
„მონაკო" — „ბელენენსეში" (პორტუგალია) 3:0 (1:1)
„ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ) — „ბეშიქთაში" (თურქეთი) 2:1 (1:0)
„დინამო" (რუმინეთი) — „დინამო" (ალბანეთი) 2:0 (0:1)
„დინამო" (ბერლინი, გდრ) — „ვალიური" (ისლანდია) 2:1 (2:1)
აელ (კვიპროსი) — „ადმირა-ვაკერი" (ავსტრია) 1:0 (0:3)
„სამპდორია" (იტალია) — „ბრანი" (ნორვეგია) 1:0 (2:0)
„ბალიმენა" (ჩრ. ირლანდია) — „ანდერლეხტი" (ბელგია) 0:4 (0:6)
„იკასტი" (დანია) — „გრონინგენი" (ჰოლანდია) 1:2 (0:1)

### უეფა-ს თასი

**ოცდამეთორმეტედფინალი**

„ნესტვედი" (დანია) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 0:0 (1:3)
„გიოტებორგი" (შვეცია) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0 (0:2)
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ატალანტა" (იტალია) 2:0 (0:0)
მტკ (უნგრეთი) — „დინამო" (კიევი) 1:2 (0:4)
„ვიენა" (ავსტრია) — „ლა ვალეტა" (მალტა) 3:0 (4:1)
„ლიეჟი" (ბელგია) — „აკრანესი" (ისლანდია) 4:1 (2:0)
„ანტვერპენი" (ბელგია) — „ვიტოშა" (ბულგარეთი) 4:3 (0:0)
„ვიდეოტონი" (უნგრეთი) — „ჰიბერნიანი" (შოტლანდია) 0:3 (0:1)
„იუვენტუსი" (იტალია) — „გურნიკი" (პოლონეთი) 4:2 (1:0)
„ქენესი" (ლუქსემბურგი) — „სოშო" (საფრანგეთი) 0:5 (0:7)
„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — რად (იუგოსლავია) — 28.IX. (1:2)
„ბოავიშტა" (პორტუგალია) — „კარლ-მარქს-შტადტი" (გდრ) 2:2 (0:1)
გკს (პოლონეთი) — „როვანიემი" (ფინეთი) 0:1 (1:1)
„პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „კუუსიუსი" (ფინეთი) 3:2 (0:0)
„ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია) — „ჰანზა" (გდრ) 4:0 (3:2)
„ვერდერი" (გდრ) — „ლილესტრიომი" (ნორვეგია) 2:0 (3:1)
„ჰამბურგი" (გფრ) — „ერგრიტე" (შვეცია) 5:1 (2:1)
„სიონი" (შვეიცარია) — „ირაკლისი" (საბერძნეთი) 2:0 (0:1)
„რაპიდი" (ავსტრია) — „აბერდინი" (შოტლანდია) 1:0 (1:2)
„პლასტიკა" (ჩეხოსლოვაკია) — „კიოლნი" (გფრ) 0:1 (1:4)
„ფეიენოორდი" (ჰოლანდია)— „შტუტგარტი" (გფრ) 2:1 (0:2)
„ბრიუგე" (ბელგია) — „ტვენტე" (ჰოლანდია) 4:1 (0:0)
„დანდალკი" (ირლანდია) — „ვეტინგენი" (შვეიცარია) 0:2 (0:3)
„აპოლონია" (ალბანეთი) — „ოსერი" (საფრანგეთი) 0:3 (0:5)
„ვიქტორია" (რუმინეთი) — „ვალენსია" (ესპანეთი) 1:1 (1:3)
„ფლეკარა" (რუმინეთი) — „პორტო" (პორტუგალია) 1:2 (0:2)
„ფიორენტინა" (იტალია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) 1:0 (0:1, პენალტებით 3:1)
„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „გალათასარაი" (თურქეთი) 2:0 (1:1)
„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „გლენტორანი" ჩრ. ირლანდია) 2:0 (3:1)
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „აუსტრია" (ავსტრია) 1:1 (0:1)
„სარაგოსა" (ესპანეთი) — „აპოლონი" (კვიპროსი) 1:1 (3:0)
„ნაპოლი" (იტალია) — „სპორტინგი" (პორტუგალია) 0:0 (0:0, პენალტებით 4:3).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# წარუმატებელი სტარტი



**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**ტალინი.** თბილისის დინამოელებმა კალენდრით გათვალისწინებული ორი შეხვედრა ჩაატარეს ადგილობრივ „კალევთან" და ორივე დათმეს. ჩემპიონატის სტარტზე ნებისმიერი დასკვნა ნაჩქარევად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ჩვენს კალათბურთელებს წლეულს გაუჭირდებათ და ამის გამო, ალბათ, ბევრი უსიამოვნო წუთის გადატანა მოგვიხდება.

„ჟალგირისთან" პირველ ორ მარცხს ასე თუ ისე, გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „ჟალგირისი" ის აღარაა, რაც შარშან იყო. საბონისის, კურტინაიტისის, ხომიჩუსის და იოვაიშას საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შეიქმნა ამავე კლუბის სათადარიგო მოთამაშეებისაგან. მაგრამ ლიტველებს, რომლებიც შინ თამაშობდნენ, ალბათ, ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდათ, რომლის დაძლევა დინამოელებმა ვერ შესძლეს.

„კალევთან" კი გამარჯვებას თუ არა, მეტ-ნაკლებად, თანაბარ თამაშს მაინც მოველოდით. მოველოდით, მაგრამ შევცდით და როგორც ჩანს, ჩვენი იმედები შიშველ ოპტიმიზმს ეყრდნობოდა. ყოველ შემთხვევაში, პირველი მატჩი ესტონელებთან „დინამომ" პირწმინდად წააგო 77:96 (32:43). მეორე შეხვედრაშიც ესტონელების უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ „დინამოს" უკეთ თამაში შეუძლია და იმედი მოგვეცა, რომ თბილისის მატჩებს უფრო ეფექტურად ჩაატარებს.

განმეორებითი შეხვედრა „კალევმა" უფრო მოკრძალებული სხვაობით, სულ 9 ქულით მოიგო — 84:75 (50:44).

**4 და 5 ოქტომბერს თბილისის „დინამო" მორიგ შეხვედრებს ჩაატარებს შინ, მოსკოვის თანაკლუბელებთან. ეს მატჩები გაიმართება არა სპორტის სასახლეში, როგორც ადრე იყო გამოცხადებული, არამედ, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში.**

**დონეცკი.** „შახტიორი" ამჯერად რიგის ვეფ-ს მასპინძლობდა. ერთი შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს 96:90 (42:48). ერთიც — სტუმრებმა — 107;87 (51:36).

## „ბუდიველნიკი"—„ჩეპელი"

**კიევი.** დაიწყო კალათბურთელთა ევროპის მორიგი საკლუბო ტურნირები. ადგილობრივი „ბუდიველნიკი", როგორც ცნობილია, წლეულს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოდის. სასტარტო მატჩი უკრაინელ კალათბურთელებს ბუდაპეშტის „ჩეპელთან" ჰქონდათ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 131:98 (64:50). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები ამ დღეს იყვნენ კიეველები შაპტალა (33 ქულა) და პოდკოვიროვი (31).

განმეორებითი მატჩი გაიმართება ბუდაპეშტში 5 ოქტომბერს.

# ესტაფეტა „უნივერსიტეტმა" მიიღო

(დასასრული)

რის თბილისის უნივერსიტეტიც. თუმცა, ამ უკანასკნელი ტურის მატჩები ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდების საბოლოო ბედს მაინც ვერ გადაწყვეტს. მათ და I ლიგის პრეტენდენტ კიდევ ოთხ გუნდს შორის ცალკე ასპარეზობა გაიმართება.

ერთი სიტყვით, „უნივერსიტეტმა" რომ საქმე სათუოდ არ გაიხადოს, თავისი ბედი სწორედ ახლა, თბილისში უნდა გადაწყვიტოს და საბოლოოდ რვა უძლიერესს შორის დამკვიდრდეს. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ „უნივერსიტეტი" თბილისში მოასპარეზე გუნდებს შორის, სულ ცოტა, მეოთხე ადგილზე გავა.

როგორი შანსები აქვთ თბილისელებს? მეტი სიცხადისთვის გადავხედოთ იმ გუნდების სატურნირო მდგომარეობას, რომლებიც თბილისში გამოდიან. ესენია: „ბანგა" (კაუნასი), „სინთეზი" (ყაზანი) — 13-13 ქულა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების გუნდი (კიშინიოვი) — 11, „აზოვი" (მარიუპოლი) — 10, სკ (დუშანბე), „მედეო" (ალმა-ათა) — 9-9, „უნივერსიტეტი" — 8, „ულდუზი" (ბაქო) — 2.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „უნივერსიტეტი" მასპინძლის როლშია და აქ გამომსვლელ გუნდთაგან IV ადგილზე მყოფ „აზოვს" მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება, ჩვენს წყალბურთელებს მიზნის მიღწევა მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეთ.

მაგრამ არის მეორე პრობლემა. სანამ პირველობაზე ხანგრძლივი შესვენება იყო, ჩვენი გუნდი დატოვა სამმა ძლიერმა წყალბურთელმა, რომლებსაც სავალდებულო სამსახურის ვადა გაუვიდათ და თავიანთ რესპუბლიკებში დაბრუნდნენ. ამას გარდა, ჩვენი გუნდიდან კიდევ რამდენიმე წყალბურთელი სხვადასხვა მიზეზების გამო წავიდა. სამაგიეროდ, მან მიიღო ერთი ძლიერი წყალბურთელი, თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე გელა ტუკვაძე, რომელიც ამავე დროს მწვრთნელიც იქნება, მაგრამ მას ტრავმის გამო დიდი ხანია მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ახლა დიდი მონდომებით ემზადებოდა.

ჩვენს გუნდს უფროსი მწვრთნელიც ახალი ჰყავს — იოსებ მაისურაძე. ახლა მასაც და სხვებსაც უჭირთ გადაჭრით რაიმეს თქმა. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს „სინთეზთან" დღევანდელივე მატჩი გამოავლენს.

**ავთანდილ ჭუმბურიძე.**

**გაზეთის დაბეჭდვის წინ**

### წილი ნაყარია

**ციურიხში,** უეფ-ას შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპის სათასო ტურნირების წილისყრა.

მეორე წრეში საბჭოთა გუნდების მეტოქეები იქნებიან:

**ჩემპიონთა თასზე** — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ტიროლი" (ავსტრია).

**თასების მფლობელთა თასზე** — „ტორპედო" (მოსკოვი) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია).

**უეფ-ას თასზე** — „კიოლნი" (გფრ) — „სპარტაკი" (მოსკოვი); „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი); „დინამო" (კიევი) — „ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია); „შტუტგარტი" (გფრ) — „ზენიტი" (ლენინგრადი).

პირველი მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე. თამაშები ჩატარდება 18 ოქტომბერს და 1 ნოემბერს.



კარლო კვაჭაძე

მისი მოწოდება პედაგოგობა იყო და ამ წმინდა საქმეს შეალია მთელი სიცოცხლე. 50 წლის წინათ დაამთავრა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი. ყველა ჭეშმარიტი აღმზრდელი ბავშვებთან მუშაობით იწყებს და კარლო კვაჭაძემაც ამით დაიწყო. მერე კვლავ მშობლიურ ინსტიტუტში დაბრუნდა. ახალგაზრდა პედაგოგს იმთავითვე ეწადა ჩასწვდომოდა სპორტში პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის საიდუმლოებას. ამ გატაცებამ მიიყვანა იგი ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც ჩაირიცხა კიდეც ფსიქოლოგია-პედაგოგიკის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში. მერე იქვე პედაგოგად დაიწყო მუშაობა. გატაცებით იკვლევდა აგრეთვე ფიზიკური აღზრდის ერთიანობის პრობლემებს. 1967 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც დისერტაცია დაიცვა, იმავე კათედრაზე მუშაობდა დოცენტად გარდაცვალებამდე.

თითქმის ოთხი ათეული წელი აკავშირებდა ფიზკულტურის ინსტიტუტთან, სპორტთან, სპორტსმენებთან. ვინ მოთვლის რამდენმა თაობამ გაიარა ამ ჭეშმარიტი პედაგოგის ხელში, ცოდნასთან ერთად რამდენს გაატანა ინსტიტუტის კედლებიდან ადამიანებთან თბილი ურთიერთობის აუცილებლობის გრძნობა.

შეგირდები არასდროს ივიწყებენ ახეთ აღმზრდელებს.

კ. კვაჭაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მის ნამოწაფართა, თანამშრომელთა და ნაცნობ-მეგობართა გულებში.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.**
**საქართველოს პედაგოგიური საზოგადოება.**

## 13 წლის აფროსანი — ეროვნულ ნაკრებში

**წინასწარ** შეიძლება იმის თქმა, ვინ იქნება აფროსანთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე პოპულარული სპორტსმენი, ვინ მიიპყრობს სხვებზე მეტად სპეციალისტების, ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტებისა და ამ სახეობის მოყვარულთა ყურადღებას. ის არც ტიტულოვანი, ძველი „ზღვის მგელი" იქნება და არც ფათერაკებგამოვლილი მეზღვაური — 13 წლის ლუკა დომენიჩი, რომელსაც არაერთხელ უჯობნია თანატოლებისთვის ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში, ახლახან შეიყვანეს იტალიელ აფროსანთა ეროვნულ ნაკრებში, რომელიც იაპონიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**ბელგია**

**მე-5 ტური.** „მეჰელენი" — „ბევერენი" 4:0, „გენტი" — „ლიერსი" 1:1, „სენტ ტრონდენი" — „რესინგი" 0:0, „ბეერსკოტი" — „ანტვერპენი" 1:1, „სტანდარდი" — „ვარეგემი" 1:1, „შარლერუა" — „ანდერლეხტი" 0:0, „ეკერენი" — „ბრიუგე" 2:2, „სერკლი" — „ლოკერენი" 3:1, „კორტრიკი" — „ლიეჟი" 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „მეჰელენი" | 5 | 9 |
| „სერკლი" | 5 | 8 |
| „ანდერლეხტი" | 5 | 8 |

**პოლონეთი**

**მე-8 ტური.** „ვიძევი" — ლკს 1:1, „გურნიკი" — „სლასკი" 2:0, „სტალი" — „ბიალისტოკი" 1:0, „ლეხი" — „ვისლა" 2:0, „ლეგია" — „ოლიმპია" 1:0, „რუხი" — „სოსნოვეცი" 0:0, „ლუბლინი" — „ბიდგოშცი" 0:0, „ლუბინი" — „კატოვიცე" 1:1.

| | | |
|---|---|---|
| გკს კატოვიცე | 8 | 14 |
| ბიდგოშცი | 8 | 13 |
| გურნიკი | 8 | 12 |

**გფრ**

**მე-9 ტური.** „მიონჰენგლადბახი" — „ჰომბურგი" 0:0, „ლევერკუზენი" — „ფრანქფურტი" 2:0, „სენტ პაული" — „ჰამბურგი" 0:0, „ბაიერნი" — „ბოხუმი" 5:1, „კაიზერსლაუტერნი" — „შტუტგარტი" 1:2, „ნიურნბერგი" — „კარლსრუე" 2:0, „დორტმუნდი" — „კიოლნი" 0:0, „ვერდერი" — „მანჰეიმი" 0:1, „დიუსელდორფი" — „იურდინგენი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 9 | 23-9 | 14 |
| „ნიურნბერგი" | 9 | 15-8 | 12 |
| „ლევერკუზენი" | 9 | 12-6 | 12 |

**შოტლანდია**

**მე-5 ტური.** „აბერდინი" — „დანფერმლაინი" 2:1, „დანდი იუნაიტედი" — „სელტიკი" 2:2, „ჰიბერნიანი" — „სენტ მირენი" 3:1, „მოზერუელი" — „ჰარტსი" 1:3, „რეინჯერსი" — „დანდი" 2:2.

| | | |
|---|---|---|
| „ჰარტსი" | 5 | 7 |
| „აბერდინი" | 5 | 7 |
| „ჰიბერნიანი" | 5 | 6 |

**გდრ**

**მე-5 ტური.** „დინამო" (ბერლინი) — „ჰალე" 3:1, „კარლ ცეისი" — „დინამო" (დრეზდენი) 1:1, „ჰანზა" — „კარლ-მარქს-შტადტი" 2:2, „ეიზენჰუტენშტადტი" — „ენერგია" 1:1, „ლოკომოტივი" — „ფკ მაგდებურგი" 1:2, „ბიშოფსვერდა" — „ბრანდენბურგი" 1:1, „ვისმუტი" — „ერფურტი" 3:0.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო" (დრეზდენი) | 5 | 8 |
| „მაგდებურგი" | 5 | 8 |
| „დინამო" (ბერლინი) | 5 | 7 |

**ჰოლანდია**

**მე-7 ტური.** „გრონინგენი" — „ჰარლემი" 3:0, „აიაქსი" — „ვალვეიკი" 0:0, „ტვენტე" — „არნჰემი" 1:1, „სპარტა" — „მაასტრიხტი" 2:2, „ჰააგა" — „ეინდჰოვენი" 1:5, „როდა" — „უტრეხტი" 1:0, „ტილბურგი" — „სიტარდი" 2:0, „ნიემიგენი" — „ვოლენდამი" 2:2, „დენ ბოში" — „ფეიენოორდი" გადაიდო.

| | | |
|---|---|---|
| „როდა" | 7 | 10 |
| „ვალვეიკი" | 7 | 10 |
| „ეინდჰოვენი" | 6 | 9 |

**ავსტრია**

**მე-11 ტური.** „რაპიდი" — „ვინერ სკ" 1:0, „სენტ პოლტენი" — „შტურმი" 0:4, „ტიროლი" — „ზალცბურგი" 3:1, „გრაცერი" — „კრემსერი" 0:1, „ადმირა" — „შტეირი" 4:0, „ვიენა" — „აუსტრია" 0:2.

| | | |
|---|---|---|
| „ტიროლი" | 11 | 19 |
| „აუსტრია" | 11 | 15 |
| „რაპიდი" | 11 | 15 |

**შვეიცარია**

„გრასჰოპერსი" — „ქსამაქსი" 1:0, „სენტ გალენი" — „ლუგანო" 2:2, „იანგ ბოისი" — „ლუცერნი" 5:3, „არაუ" — „ლოზანა" 0:3, „ბელინცონა" — „ვეტინგენი" 0:2, „სერვეტი" — „სიონი" 2:3.

| | | |
|---|---|---|
| „სიონი" | 12 | 16 |
| „ქსამაქსი" | 12 | 15 |
| „გრასჰოპერსი" | 12 | 13 |

**რუმინეთი**

**მე-4 ტური.** „დინამო" — „პლოეშტი" 5:0, „არჯესი" — „სტიაუა" 0:1, „სპორტული" — „ვიქტორია" 0:1, „კრაიოვა" — „ბრაშოვი" 4:0, „კონსტანცა" — „სიბიუ" 2:0, „მორენი" — „ჰუნედოარა" 3:1, „კლუჟი" — „ტიმოშოარა" 2:4, „ოლტი" — „პეტრუსანი" 2:0, „ორადეა" — „ბაკაუ" 5:3.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო" | 4 | 8 |
| „კრაიოვა" | 4 | 7 |
| „ორადეა" | 4 | 6 |

**ესპანეთი**

**მე-5 ტური.** „ოვიედო" — „ბარსელონა" 2:0, „რეალი" — „ვალენსია" 6:2, „მალაგა" — „ატლეტიკო" 0:0, „პამპლონა" — „რაიო ვალეხანო" 2:1, „ბილბაო" — „ვიგო" 2:0, „კასტელონი" — „მაიორკა" 1:2, „კადისი" — „ხიხონი" 2:0, „სარაგოსა" — „ტენერიფე" 3:3, „ვალიადოლიდი" — „სან სებასტიანი" 1:0, „სევილია" — „ლოგრონიესი" 3:1.

| | | |
|---|---|---|
| „სევილია" | 5 | 8 |
| „რეალი" | 5 | 6 |
| „ბილბაო" | 5 | 6 |

**არგენტინა**

**მე-5 ტური.** „ინსტიტუტო" — „დეპორტივო მანდიუ" 1:0 „ესტუდიანტესი" — „უნიონი" 4:2, „ინდეპენდიენტე" — „ნეველს ოლდ ბოისი" 2:1, „ფეროკარილ ოესტე" — „ბოკა ხუნიორსი" 0:0, „ველეზ სარსფილდი" — „არგენტინოს ხუნიორსი" 1:0, „დეპორტივო ესპანიოლი" — „პლატენსე" 2:0, „რივერ პლეიტი" — „სან ლორენსო" 1:0, „როსარიო სენტრალი" — „ტალერესი" 1:0, „რესინგი კორდობა" — „რესინგი ბუენოს-აირესი" 1:1, „ჩაკო ფორ ევერი" — „გიმნასია ესგრიმა" 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „ინდეპენდიენტე" | 5 | 7 |
| „რივერ პლეიტი" | 5 | 7 |
| „დეპორტივო მანდიუ" | 5 | 6 |

**იუგოსლავია**

**მე-6 ტური.** „ჰაიდუკი" — „ცრვენა ზვეზდა" 2:1, „პარტიზანი" — „ოლიმპია" 2:0, „ველეჟი" — „ვოივოდინა" 0:0 (6:5), „რადნიჩკი" — „რადი" 2:2 (6:5), „ჟელეზნიჩარი" — „სპარტაკი" 1:0, „ოსიეკი" — „დინამო" 1:0, „ვარდარი" — „სლობოდა" 2:0, „ბორაცი" — „სარაევო" 2:0, „რიეკა" — „ბუდუჩნოსტი" 0:0 (5:4).

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 6 | 9-1 | 9 |
| „რიეკა" | 6 | 6-2 | 9 |
| „ჟელეზნიჩარი" | 6 | 8-6 | 8 |

**იტალია**

**მე-5 ტური.** „ინტერი" — „იუვენტუსი" 2:1, „ნაპოლი" — „ფიორენტინა" 3:2, „მილანი" — „ასკოლი" 1:1, „ბარი" — „რომა" 1:2, „ლაციო" — „ლეჩე" 3:0, „უდინეზე" — „სამპდორია" 3:3, „ატალანტა" — „კრემონეზე" 2:0, „ვერონა" — „ჯენოვა" 1:1, „ჩეზენა" — „ბოლონია" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 5 | 7-3 | 9 |
| „რომა" | 5 | 9-3 | 8 |
| „იუვენტუსი" | 5 | 12-6 | 7 |

**დანია**

**მე-19 ტური.** „ოდენსე 1903" — „ვეილე" 3:1, „ორჰუსი" — „ბკ 1913" 4:0, „ბრონშიო" — „ნესტვედი" 0:1, „ფრამი" — „ლუნგბიუ" 1:4, „იკასტი" — „ჰერფოლგე" 2:1, „ოდენსე ბკ" — „სილკებორგი" 3:0, „ალბორგი" — „ბრონდბიუ" 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „ოდენსე ბკ" | 19 | 30 |
| „ვეილე" | 19 | 28 |
| „ბრონდბიუ" | 19 | 27 |

**ნორვეგია**

**მე-19 ტური.** „სტარტი" — „ლილესტრიომი" 1:1, „ბრანი" — „კონგსვინგერი" 0:1, „მოსი" — „მიოლნერი" 2:0, „ტრომშიო" — „სიონდალი" 3:0, „ვიკინგი" — „რუსენბორგი" 4:3, „ვოლერინგენი" — „მოლდე" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლილესტრემი" | 19 | 25-10 | 43 |
| „რუსენბორგი" | 19 | 42-27 | 35 |
| „ტრომშიო" | 19 | 31-20 | 33 |

(საქ. ინფ.)

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა აცხადებს 1989-90 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღებას მაგიდის ჩოგბურთის (1981-84 წწ-ში დაბადებულნი), ბადმინტონის (1978-81 წწ-ში დაბადებულნი) და ტყვიის სროლის (1976-77 წწ-ში დაბადებულნი) განყოფილებებზე.

მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი,. ბელიაშვილის ქ. №6, ტელ: 51-83-95.

**სკოლის დირექცია.**

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზდენი — 93-97-56, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „შერაწ" — 93-97-26, „მიმოვ" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10493